

**ცხოვრება ორაზროვნებაში: ლგბტქ+ აქტივისტების ფსიქოსოციალური
საჭიროებების კვლევა**

ელენე ქორიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: პროფესორი ჯანა ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ქორიძე, 10/07/2020

აბსტრაქტი

უმცირესობის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება დისკრიმინაციას, სტიგმას, სიძულვილის ენას თუ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, რომელიც რიგ შემთხვევებში სიცოცხლის მოსპობითაც კი სრულდება. ეს რეალობა კიდევ უფრო მწვავედ დგას ლგბტქ+ თემის წევრებისთვის და აქტივისტებისთვის. საუკუნეების განმავლობაში და დღესაც მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ბრძოლა არსებობის უფლების მოპოვებისთვის, მათი ცხოვრება კი სავსეა ტრავმული და სტრესული გამოცდილებებით. უმცირესობის სტრესის თეორიული მოდელის მიხედვით ლგბტქ+ ჯგუფისთვის სპეციფიკური სტრესორებია დამახასიათებელი, რომლებიც დისტალური და პროქსიმალური დონეების სტრესორებად იყოფა, აისახება მათი ცხოვრების ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დონეებზე. შედეგი ვლინდება ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემების სახით, როგორცაა: დეპრესია, შფოთვითი აშლილობები, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობა, ნივთიერებების ავადმომხმარება თუ სუიციდი.

მოცემული კვლევა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ლგბტქ+ ჯგუფის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას. მისი მიზანია მათზე მოქმედი სტრესორებისა და სტრესთან გამკლავების სტრატეგიების კვლევა. კვლევის ამოცანებს წარმოადგენს: ლგბტქ+ აქტივისტებისთვის გავრცელებული სტრესორთა სისტემის იდენტიფიცირება, ფსიქოსოციალური პრობლემების, გამკლავების სტრატეგიებისა და ქამინგ აუთის გავლენის შესწავლა.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. კვლევის 14 მონაწილე წარმოადგენს ლგბტქ+ აქტივისტს, რომელთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივად.

შედეგების თვალსაზრისით, გამოიკვეთა სტრესორების ფართო სპექტრი, როგორც ინდივიდუალურ, ისე ოჯახის, საზოგადოებისა და ინსტიტუციების დონეზე. ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი აქტივისტების აღქმით კი ის ნორმალიზებულია, რამდენადაც მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. რესპონდენტების ნარატივებიდან ჩანს სტრესთან გამკლავების, როგორც ადაპტური (კოგნიტური, სოციალური) ისე არაადაპტური სტრატეგიები. მათი ნარატივებიდან კი გამოიკვეთა ორაზროვანი და ამბივალენტური დამოკიდებულება სხვადასხვა დონეზე, მათ შორის იდენტობის, ლგბტქ+ თემისა და უშუალოდ აქტივიზმის მიმართ, რომელიც ერთდროულად დადებითიც არის და უარყოფითიც, მხარდამჭერიც და გამანადგურებელიც.

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვაა ის, რომ მონაწილეები წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს და არ გვაძლევს შედარების შესაძლებლობას არა აქტივისტი თემის წევრების ნარატივებთან. სამომავლო კვლევის მიმართულებად კი შესაძლოა განისაზღვროს თემში გავრცელებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესწავლა, ასევე, აქტივისტური საქმიანობისა და მათი სტრატეგიების სიღრმისეული შესწავლა, რაც საფუძვლად დაედება აქტივიზმის ხელახლა გააზრებას, სამომავლო მიზნების დასახვასა და სტრატეგიის შეცვლას, რომელიც იმუშავებს ეფექტურად საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების დამსხვრევის მიმართულებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლგბტქ+, აქტივიზმი, უმცირესობის სტრესი, ფსიქოსოციალური პრობლემები, ქამინგ აუთი, გამკლავების სტრატეგიები.

Abstract

Representatives of different groups of minority, in their everyday life, face discrimination, stigma, violent language or hate crime, and in some cases it ends up with homicide. The reality is much more severe for LGBTQ+ community members and activists. Over the centuries and even today, their main goal is struggle for obtaining the right to exist, and their life is full of traumatic and stressful experiences. In accordance with the minority stress theoretical model, LGBTQ+ group is characterized by specific stressors, divided into distal and proximal levels stressors and are reflected in their life biologically, psychologically and socially. Mental health problems, such as: depression, anxiety disorders, post traumatic stress disorder, drug abuse or suicide manifest subsequently.

The given survey is supplied for promotion LGBTQ+ group mental health and psychosocial well-being. Survey goal is to research affecting stressors and coping strategies. Survey tasks are: identification of stressor systems spread for activists, psychosocial problem study, coping strategies and doing coming out or not influence study.

The survey was carried out using qualitative methodology. 14 participants of survey represent community activists, selected for a specific purpose.

In respect of results, a wide spectrum of stressors became clear on individual, familial, society and institutional level. LGBTQ+ community activists consider it normalized, as it is part of their everyday life. Stress coping adaptive (social, cognitive) and non-adaptive strategies seem in respondents' narrative. Ambiguous and ambivalent attitudes became clear on different levels; among them is attitude towards identity, LGBTQ+ community and direct activism, which is positive and negative, supporter and devastating as well.

One of the survey limitations is that participants represent a homogenous group and this factor does not enable us to compare them with non-activist community members' narrative.

Community mental health problems study, activist action and their strategies in-depth study can be vectors for future survey, that will be the basis for rethinking activism, setting future goals and strategy change, which will work effectively to break stereotypes existing in the society.

Key Words: LGBTQ+, activism, minority stress, psychosocial problems, coming out, coping strategies.

მადლობა

მადლობა ჩემს ხელმძღვანელ, პროფესორ ჯანა ჯავახიშვილს, რომელიც მიუხედავად დროისა და გარემოებისა მუდმივად მაწვდიდა უკუკავშირს, მეხმარებოდა იდეების დახვეწასა და განვითარებაში. მისი მხარდაჭერა ფასდაუდებელია კვლევის პროცესში.

მადლობა ორგანიზაციის „თანასწორობის მოძრაობა“ კოორდინატორს, იასონ შიშნიაშვილს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული როგორც კვლევის დაგეგმვის, ისე მისი განხორციელების ეტაპზე, დაგვეხმარა რესპონდენტებთან დაკავშირებაში, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და რეკრუტირებაში, რომლის გარეშეც კვლევა ვერ შედგებოდა.

მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყო კვლევის პროცესში, მეხმარებოდა, მხარს მიჭერდა, მისმენდა და მიქმნიდა კომფორტს იმისთვის, რომ მემუშავა მშვიდ გარემოში.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის ყველა რესპონდენტს, რომ გამონახეს დრო ინტერვიუებისთვის, დაგვთანხმდნენ და ენთუზიაზმით ჩაერთნენ პროცესში. მათგან წამოსული მუხტი არის ის ძალა, რომელიც მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი აღმოჩნდა კვლევის ჩატარებისა და წერის პროცესში.